პრეზიდენტ
დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი



სიყვარულის შემდეგ, რა?

ჩვენმა საყვარელმა წინასწარმეტყველმა, თომას ს. მონსონმა, გვასწავლა, რომ "სიყვარული არის სახარების არსი".[1]

სიყვარული იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იესომ დაარქვა მას "პირველი და ყველაზე დიდი მცნება". მან თქვა, რომ მასზეა დამოკიდებული კანონის ყოველი სხვა ნაწილი და წინასწარმეტყველების სიტყვები.[2]

სიყვარული არის ცენტრალური მამოძრავებელი ძალა ყოველივე იმისა, რასაც ეკლესიაში ვაკეთებთ. ყოველი პროგრამა, შეკრება, მოქმედება, სადაც ჩვენ წარვდგებით როგორც იესო ქრისტეს მოწაფენი, უნდა გამომდინარეობდეს ამ თვისებიდან, რადგან მოწყალების გარეშე, "ქრისტეს წმინდა სიყვარულისა", ჩვენ არაფერნი ვართ.[3]

როგორც კი ამას გონებაში და გულში გავიაზრებთ, როგორც კი გამოვაცხადებთ სიყვარულს ღმერთისა და მოყვასის მიმართ, მერე რა უნდა ვქნათ?

საკმარისია სხვების მიმართ გრძნობდე სიყვარულსა და თანაგრძნობას? აკმაყოფილებს ჩვენს ვალდებულებას ღმერთის მიმართ ჩვენ მიერ ღმერთისა და მოყვასისადმი გამოცხდებული სიყვარული?

იგავი ორ ძეზე

იერუსალიმის ტაძარში მღვდელთმთავარი და იუდეველთა უხუცესები მიუახლოვდნენ იესოს, რათა მისივე სიტყვებში გამოეჭირათ. თუმცა მხსნელმა მაგიდები ამოაყირავა, როცა მათ ამბავს უყვებოდა.

"ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა",- დაიწყო მან. მივიდა პირველთან და უთხრა, რომ წასულიყო და ვენახში ემუშავა. მაგრამ შვილმა უარი უთხრა. მერე კი "ინანა და წავიდა".

მივიდა მეორესთან და უთხრა, რომ წასულიყო და ვენახში ემუშავა. მეორე შვილმა უთხრა, რომ დაეხმარებოდა, თუმცა არ დახმარებია.

შემდეგ მხსნელი მოუბრუნდა მღვდლებსა და უხუცესებს და ჰკითხა: "რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება"?

მათ უნდა ეღიარებინათ, რომ პირველმა ანუ რომელმაც თქვა, რომ არ წავიდოდა მაგრამ მოგვიანებით ინანა და წავიდა ვენახში სამუშაოდ.[4]

მხსნელმა გამოიყენა ეს ამბავი მნიშვნელოვანი პრინციპის საჩვენებლად: ვინც იცავს მცნებებს, მას ჭეშმარიტად უყვარს ღმერთი.

ალბათ ამიტომ სთხოვა იესომ ადამიანებს, მოესმინათ ფარისევლებისა და მწიგნობრების

სიტყვები, მაგრამ არ მიყოლოდნენ მათ მაგალითს.[5] ეს რელიგიის მასწავლებლების სიტყვები და საქმენი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. მათ მოსწონდათ რელიგიაზე საუბარი, მაგრამ სამწუხაროდ მისი დედაარსი არ ესმოდათ.

ქმედებანი და ჩვენი გადარჩენა

ერთ-ერთ ბოლო გაკვეთილზე მხსნელი თავის მოწაფეებს ესაუბრებოდა ბოლო სამსჯავროზე. ბოროტნი და მართალნი განცალკევდებიან. კეთილნი მარადიულ ცხოვრებას დაიმკვიდრებენ, ბოროტნი კი მარადიულ სასჯელს მიიღებენ.

რითი განსხვავდებოდა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისაგან?

ისინი, ვინც ქმედებებით სიყვარულს გამოხატავდნენ - გადარჩნენ. ისინი, ვინც არა - სასჯელი მიიღეს.[6] იესო ქრისტეს სახარებასა და მის ღირებულებებში ჭეშმარიტი მოქცევა ყოველდღიური ცხოვრების ქმედებებში გამოვლინდება.

ბოლოს, უბრალოდ ღმერთისა და მოყვასის მიმართ სიყვარულის გამოცხადება არ იქნება საკმარისი ჩვენი ამაღლებისთვის. რადგან, როგორც იესომ გვასწავლა: "ყოველი, რომელიც მეუბნება: უფალო, უფალო, როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც ასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნებას".[7]

რა მოსდევს სიყვარულს?

პასუხი კითხვაზე "სიყვარულის მერე, რა"? შეიძლება იყოს უბრალო და პირდაპირი. თუ მართლა გვიყვარს მხსნელი, ჩვენ გულით მისკენ გადავიხრებით, შემდეგ კი მოწაფეობის გზაზე ვივლით. როცა ღმერთი გვიყვარს, ჩვენ ვეცდებით მისი მცნებების დაცვას.[8]

თუ ჭეშმარიტად გვიყვარს მოყვასი, ჩვენ დავეხმარებით "ღარიბებსა და ღატაკებს, სნეულებსა და გაჭირვებულებს".[9] რადგან რომელნიც თანაგრძნობისა და მსახურების უანგარო საქციელს იჩენენ,[10] ისინი ქრისტეს მოწაფენი არიან.

ეს არის ის, რაც მოსდევს სიყვარულს.

ეს არის იესო ქრისტეს სახარების არსი.

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, "Love—the Essence of the Gospel," *ლიაჰონა*, მაისი 2014, 91.
2. იხილეთ მათე 22:36-40.
3. იხილეთ მოსე 7:46-47.
4. იხილეთ მათე 21:28-32.
5. იხ. მათე 23:3.
6. იხ. მათე 25:31-46.
7. მათე 7:21.
8. იხილეთ იოანე 14:15.
9. მოძღვრება და აღთქმები 52:40.
10. იხ. მოსია 18:8–9.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი უხთდორფი განსაზღვრავს იესო ქრისტეს ჭეშმარიტ მოწაფეებს როგორც მათ, ვინც უფლისა და სხვების მიმართ თავიანთი ქცევით სიყვარულს გამოხატავენ. იგი გვასწავლის, რომ "თუ მართლა გვიყვარს მხსნელი, ჩვენ გულით მისკენ გადავიხრებით, შემდეგ კი მოწაფეობის გზაზე ვივლით". ჰკითხეთ, ვისაც ასწავლით, როგორ უბიძგა მათ სიყვარულმა მოწაფეობის გზაზე სიარულისკენ. თქვენ ასევე შეგიძლიათ გაუზიაროთ მათ საკუთარი გამოცდილება. შეგიძლიათ მოიწვიოთ ისინი, ილოცონ მეტი მოწყალებისა და ძალისთვის, რათა იმოქმედონ სიყვარულით.

ახალგაზრდები

მცნებების დაცვა და სხვათა მიმართ სიყვარული

როცა სიყვარულზე ვფიქრობთ, ხშირად პირველი, რაც აზრად მოგვდის, არის რომანტიული ფილმები, შოკოლადი და ყვავილები. მაგრამ სიყვარული -*ჭეშმარიტი* სიყვარული, ამაზე მეტად ღრმა და ნაკლებად ეგოისტურია. იესო ქრისტე ჩვენთვის ცხოვრობდა და ჩვენთვის აღესრულა, ჩვენს მიმართ სიყვარულის გამო. ფაქტიურად, ორი დიდი მცნებაა - გიყვარდეს ღმერთი და ყოველი ადამიანი (იხ. მათე 22:36-40). მაგრამ როგორ შეგვიძლია *ვუჩვენოთ* სხვებს, რომ ისინი გვიყვარს?

პრეზიდენტი უხტთორფი გვიყვება ქრისტეს იგავს ორ ძეზე, ერთი მამას ეხმარება და მეორე - არა. მხსნელი ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ იმ ძეს, რომელიც მამას დაემორჩილა, ჭეშმარიტად უყვარდა იგი. ამის მსგავსად, როცა ვემორჩილებით ღვთის მცნებებს, ჩვენ ვუჩვენებთ მას, რომ გვიყვარს იგი და გვინდა მასთან დაბრუნება.

მაგრამ როგორ შეგვიძლია ვუჩვენოთ სხვებს, რომ ყველა გვიყვარს? პრეზიდენტი უხთდორფი ამასაც გვიხსნის: "თუ ჭეშმარიტად გვიყვარს მოყვასი, ჩვენ

დავეხმარებით ‘ღარიბებსა და ღატაკებს, სნეულებს და გაჭირვებულებს’. “რადგან რომელნიც თანაგრძნობისა და მსახურების უანგარო საქციელს იჩენენ, ისინი ქრისტეს მოწაფენი არიან”.

ასე რომ, როცა შემდგომ მშობელს, დედმამიშვილს ან მეგობარს იხილავთ, იფიქრეთ მათთვის მსახურების გზაზე, რათა გამოხატოთ მათ მიმართ ნაზი გრძნობები. ეს არა მხოლოდ თქვენ და მათ გაგაბედნიერებთ, არამედ მამაზეციერსაც გაახარებს.

ბავშვები

სიყვარულის გამოხატვა

ესომ გაგვიზიარა ამბავი მამისა და ორი ძის შესახებ. მამა ვენახში მუშაობდა და სთხოვა თავის ორ შვილს, დახმარებოდნენ მას. პირველმა შვილმა თავიდან უარი უთხრა, მაგრამ მოგვიანებით მოვიდა ვენახში დასახმარებლად. მეორე შვილმა უთხრა, რომ დაეხმარებოდა, თუმცა არ დახმარებია. იესომ გვიჩვენა, რომ პირველმა შვილმა მეტი სიყვარული გამოხატა მამისადმი მორჩილებით.

გაითამაშეთ ეს ამბავი! შემდეგ დაწერეთ ან დახატეთ სამი რამ, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ იმისთვის, რომ გამოხატოთ სიყვარული მამაზეციერისადმი.

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, September 2016.* Georgian. 12869 131

მამობა და დედობა - წმინდა მოვალეობაა

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ გაზრდის "მოწოდება მსოფლიოს" წვდომა თქვენს რწმენას ღმერთში და დალოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.reliefsociety.lds.org.

"მამაზეციერმა დააწესა ოჯახები, რათა დაგვეხმაროს სიყვარულის ატმოსფეროში სწორი პრინციპების სწავლებაში. პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა თქვა: "გაამხნევეთ ბავშვი და ჩაეხუტეთ მას; უფრო ხშირად უთხარით: 'მიყვარხარ'; ყოველთვის გამოხატეთ მადლიერება. არ მისცეთ ნება გადასაწყვეტ პრობლემას გახდეს საყვარელ ადამიანზე უფრო მნიშვნელოვანი".[1]

სუზან ვ. ტენერი, ახალგაზრდა ქალების ყოფილი გენერალური პრეზიდენტი, გვასწავლიდა: "ჩვენი მამაზეციერი განასახიერებს იმ მაგალითს, რომელსაც უნდა მივყვეთ. იგი გვასწავლის, მას ვუყვარვართ, იგი თავისუფალ არჩევანს გვიბოძებს. . . . ზოგჯერ დისციპლინა, რაც ნიშნავს სწავლებას, კრიტიკაში ერევათ. ბავშვების საქციელი, ისევე როგორც ყველა ასაკის ადამიანისა - სიყვარულისგან და გამხნევიბისგან უფრო მეტად იცვლება უკეთესობისკენ, ვიდრე დატუქსვით".[2]

"თუ ჩვენ ერთგულად ვლოცულობთ მთელი ოჯახით, ვსწავლობთ წმინდა წერილს, ვატარებთ ოჯახურ საღამოს, ვაძლევთ სამღვდელოების დალოცვას და ვიცავთ წმინდა შაბათს," - თქვა თორმეტ მოციქულთა ქვორუმის უხუცესმა, ქუენთინ კუკმა, "ჩვენი შვილები . . . მოემზადებიან ზეცაში მარადიული ცხოვრებისთვის, მიუხედავად იმისა, რა შეემთხვევათ მათ ამ რთულ სამყაროში".[3]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

1 ნეფი 8:37; 3 ნეფი 22:13; მოძღვრება და აღთქმები 93:40; 121:41

ისტორიები ცხოვრებიდან

უხუცესმა რობერტ დ. ჰეილსი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან, თქვა: "მე გაზეთს ვკითხულობდი, როცა ერთ-ერთი შვილიშვილი მომეკრო". "ვკითხულობდი და მესმოდა მისი ტკბილი ლაპარაკი, რომელიც ძალიან მსიამოვნებდა. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა რამდენიმე წუთის შემდეგ იგი გაზეთსა და ჩემს შორის შემოძვრა. მან ჩემი სახე ხელებში მოიქცია, ცხვირი ცხვირზე მომაწება და მკითხა: 'პაპა! აქ ხარ?'

". . . აქ *ყოფნა* ნიშნავს გესმოდეს ჩვენი ახალგაზრდების გულების და იყო კავშირში მათთან . მათთან კავშირი კი ნიშნავს არა მხოლოდ მათთან საუბარს, არამედ მათთან ერთად საქმის კეთებასაც. . . .

"ჩვენ უნდა სწავლების მომენტები დავგეგმოთ და გამოვიყენოთ ისინი. . . .

". . . რაც უფრო დიდხანს ვცხოვრობ, მით უფრო ვხვდები, რომ სწავლების მომენტები ჩემს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით კი მშობლების მიერ უზრუნველყოფილი, ჩამოაყალიბეს ჩემი ცხოვრება და მეც, როგორც პიროვნება".[4]

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, "Love at Home—Counsel from Our Prophet," *ლიახონა,* აგვისტო 2011, 4.
2. სუზან ვ. ტენერი, "Did I Tell You . . . ?" *Liahona,* მაისი 2003, 74.
3. ქუენთინ ლ. ქუქი "The Lord Is My Light," *ლიახონა,* მაისი 2015, 64.
4. რობერტ დ. ჰეილსი "Our Duty to God: The Mission of Parents and Leaders to the Rising Generation," *ლიახონა,* მაისი, 2010 წ, 96, 95.

განიხილეთ შემდეგი

რატომ არის სახარების სწავლების საუკეთესო გზა სიყვარულის ენისა და მაგალითის გამოყენებით?

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, September 2016.* Georgian. 12869 131